სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 ივნისი 2025

N 319/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ვანის მუნიციპალიტეტში შპს „ბ. პ. ჰესის“ 4.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - სულორის ჰესების კასკადის (სულორი 1 ჰესი და სულორი 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ეგ-ის გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის №149/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის №149/ს ბრძანებით გაიცა „ვანის მუნიციპალიტეტში შპს „ბ. პ. ჰესის“ 4.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - სულორის ჰესების კასკადის (სულორი 1 ჰესი და სულორი 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ეგხ-ის გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N31.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 3 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტში შპს „ბ. პ. ჰესის“ 4.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - სულორის ჰესების კასკადის (სულორი 1 ჰესი და სულორი 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ეგ-ის გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის №149/ს ბრძანება;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბ. პ. ჰესს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბ. პ. ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში, აღნიშნული ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ვანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/319-21-4-202506191100

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE